ბუღალტრული ატრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

წლიური ანგარიში 2019

ცვლილება განვითარებისთვის

SARAS.GOV.GE

REPORTAL.GE

REPORTAL.GE

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

- ანგარიშგებების წარდგენის სტატისტიკა
- საკანონმდებლო ცვლილებები
- ღონისძიებები
- მნიშვნელოვანი პროექტები
- საინფორმაციო რესურსები
- გეგმები და მიზნები

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

- აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი
- პროფესიული სტანდარტების შემოღება და დანერგვა
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი
- პროფესიული განათლება და განვითარება

პროექტები

- REPORTAL.GE
- ონლაინ ლექსიკონი
- “თვითინგის” პროექტი

ჩვენ შესახებ

- ჩვენი რესურსები
- საზოგადოებასთან ურთიერთობა
- დონორები
- საბჭო
- სამსახურის უფროსის მოხსენება
- რეფორმა ერთ გვერდზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველი ორგანოა. რეგულაციები, რომელსაც ჩვენ ვამკვიდრებთ, მიზნად ბიზნესის საქმიანობაში გამჭვირვალობის კულტურის შექმნას ისახავს. ბიზნესი, რომელიც არ უფრთხის გამჭვირვალობას, უფრო სანდოა ინვესტორების, პარტნიორების, კრედიტორების, მფლობელების, მომხმარებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მისია

სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების გზით

ხედვა

გამჭვირვალე გარემო ქვეყნის განვითარების გარანტია

რეესტრი

ვაწარმოებთ შემდეგ რეესტრებს:

აუდიტორები
აუდიტორული ფირმები
განგრძობითი განათლება
სასერტიფიკაციო პროგრამა
საგამოცდო პროცესი

ზედამხედველობა

უზრუნველვყოფთ აუდიტის ხარისხს

სტანდარტები

უზრუნველვყოფთ ანგარიშგების შესაბამისობას სტანდარტებთან

ანგარიშგების პორტალი

REPORTAL.GE

შევქმენით ფინანსური ანგრიშგების საიმედო საინფორმაციო რესურსი

განათლება

ვადგენთ პროფესიული განათლების სტანდარტებს და უზრუნველვყოფთ ამ სტანდარტებთან პროფესიული ორგანიზაციების შესაბამისობას

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

ანგარიშგების წარდგენის სტატისტიკა



2018 საანგარიშგებო წელს ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა სდპ, I, II და III კატეგორიის 4,200-ზე მეტ სუბიექტს. წარდგენის მაჩვენებელმა ჯამში **96%** შეადგინა.

დავით მჭედლიძე
ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი

2019 წელს დაფიქსირებული წარდგენის მაღალი მაჩვენებელი დიდწილად არის განპირობებული სამსახურის თანამშრომლებისა და სუბიექტების ხშირი და პროდუქტიული შეხვედრებით. სამსახური მომავალშიც განახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ყოველთვის იყოს ჩართული პროფესიის მიმდინარე გამოწვევებში.



2017 საანგარიშგებო წელს ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა სდპ, I და II კატეგორიის 600-ზე მეტ სუბიექტს, წარდგენის მაჩვენებელმა ჯამში **90%** შეადგინა.



საკანონმდებლო ცვლილებები

მეოთხე კატეგორიის საწარმოებს წარდგენის ვალდებულება 2021 წლამდე გადაუვადდათ

მეოთხე კატეგორიის საწარმოების შესახებ კანონში ცვლილება შევიდა. კერძოდ, მათ მიერ ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებამ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის გადაიწია. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოებს კარგად აქვთ გააზრებული ანგარიშგების მომზადების სარგებელი, ვიმედოვნებთ, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ ანგარიშგებების ნებაყოფლობით წარდგენას. ასეთი კომპანიების მიერ შევსებულ ინფორმაციას, სუბიექტების თანხმობის შემთხვევაში, ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის გავასაჯაროებთ.

მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვალდებულება ძალაში რჩება. 2021 წელს კი 2018 და 2019 წლების შესადარისი ინფორმაციის წარდგენა სავალდებულო იქნება 2020 წლის ინფორმაციასთან ერთად.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსი

საქართველოს მთავრობის № 584 დადგენილებით, 2019 წლის 29 ნოემბერს დამტკიცდა ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე სუბიექტებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსი უნდა მივანიჭოთ. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, კანონის ფარგლებში, 2019 წლის 23 დეკემბერს დავამტკიცეთ იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. დავადგინეთ, რომ აღნიშნულ პირთა მიმართ შესაბამისი სტატუსი და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ამოქმედდება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის, რათა შესაბამის პირებს გონივრული ვადა მიეცეთ ამ ვალდებულებათა შესასრულებლად.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირთა რეესტრი

კომუნიკაციის ელექტრონული ფორმა

სუბიექტთან, აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან და სხვა პირებთან კომუნიკაციის, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის ფორმა დამტკიცდა "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული 2019 წლის 26 ნოემბრის ცვლილებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კანონის მოთხოვნათა თანასწორად დაცვა, სამსახურის უფროსს უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ბრძანებების აღსრულების მექანიზმი მიენიჭა.



2019 წლის ღონისძიებები

საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ რეფორმაში ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად ჩაერთოს. სწორედ ამიტომ, მუდმივად ვცდილობთ რეფორმის სარგებელი გავაცნოთ კომპანიებს.

საქართველოს მასშტაბით მეოთხე და მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის 17 საინფორმაციო სახის ღონისძიება ჩავატარეთ. შეხვედრებმა ისეთი აქტუალური თემები მოიცვა, როგორიცაა: ანგარიშგების ახალი სისტემის პრეზენტაცია, რეფორმის მიმდინარეობა, წარდგენის ვადები, მე-4 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილი ანგარიშგების სტანდარტის ძირითადი პრინციპები და მე-3 და მე-2 კატეგორიის სუბიექტებისათვის მსს ფასს სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები.

ღონისძიების მსვლელობისას საწარმოების წარმომადგენლებს გადავეცით თვითსწავლების სახელმძღვანელოები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შევიმუშავეთ. წიგნები დაიბეჭდა მსოფლიო ბანკის დახმარებით.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის მხადაჭერით, სდპ-ებისა და პირველი კატეგორიის საწარმოების წარმომადგენლებისთვის ფასს სტანდარტისა და მმართველობის ანგარიშგების აქტუალურ საკითხებზე ჩავატარეთ ღონისძიება, რომელსაც მოწვეული სტუმარი, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) წევრი - გარი კაბურეკი წარუძღვა.

მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს პროფესიის ცნობადობის ამაღლებას და გაძლიერებას.



ღონისძიებებზე თბილისის გარეთ ყველაზე მაღალი დასწრების მაჩვენებელი დაფიქსირდა ქუთაისში, ზუგდიდში, ლანჩხუთსა და ბათუმში.

რეფორმასთან დაკავშირებული ღონისძიებები

მონაწილეობა მივიღეთ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, თემაზე - „გაზრდილი გამჭვირვალობა და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: ახალი შესაძლებლობები აკადემიური საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოში". მომავალშიც ველოდებით სხვა მხარეების მხრიდან განათლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.

პირველად ჩატარდა კონკურსი - „საუკეთესო წლიური ანგარიში და გამჭვირვალობის ჯილდო“

კონკურსი ჩატარდა RSF-ის ინიციატივით, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. ის ხელს შეუწყობს ქვეყანაში ანგარიშგების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას, კომპანიებს შორის ჯანსაღ კონკურენციას წაახალისებს და კორპორაციული ანგარიშგების საერთო სტანდარტს აამაღლებს. კონკურსი ყოველ წელს ჩატარდება.

რეფორმის სარგებელი

მაღალი ხარისხის სტანდარტებით მომზადებული ანგარიშგებები ღია და გამჭვირვალე გარემოს ქმნის. რეპორტალი - სანდო საინფორმაციო პლატფორმა - საწარმოებს სწრაფი განვითარების ახალ შესაძლებლობებს მისცემს.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები დიდ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა მიმართულებით კვლევების, სტატისტიკური ანალიზის ან სხვა, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის განსახორციელებლად. 30-ზე მეტმა დაინტერესებულმა მხარემ გამოითხოვა საწარმოების გასაჯაროებული ფინანსური ინფორმაცია.

იან ვან ბილსენი
IFC-ის რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში

მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკაში ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნის, გამჭვირვალობისა და ნდობის ამაღლების თვალსაზრისით. აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმა ნათლად აჩვენებს იმ პროგრესს, რასაც ქვეყანამ მიაღწია და კვლავ განაგრძობს ამ გზაზე სვლას. რეფორმა სარგებლის მომტანია კომპანიებისათვის, ვინაიდან მათ სწორედ ამ რეფორმის შედეგად აქვთ შესაძლებლობა წარადგინონ სანდო და გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება და სწორად დაგეგმონ მომავალი ფინანსური საქმიანობა. ჩვენ, ვართ რა ორიენტირებულნი კერძო სექტორის განვითარებაზე, მივესალმებით SARAS-ის მიერ გაწეულ შრომას, ვინაიდან ეს ქმნის მეტ შესაძლებლობას ქვეყანაში როგორც ადგილობრივი ბიზნესისთვის, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის.

სებასტიან მოლინეუსი
სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი

ჩვენ გვეამაყება, რომ მსოფლიო ბანკი SARAS-ს მხარს უჭერს დაფუძნებიდან დღემდე. SARAS-მა ამ მცირე ხანში უმნიშვნელოვანეს შედეგებს მიაღწია და გახდა რეგიონის ლიდერი. გვჯერა, რომ SARAS-ის ხელმძღვანელობით მიმდინარე რეფორმა დადებითად იმოქმედებს ბუღალატრულ აღრიცხვაზე, აუდიტსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნების პრაქტიკაზე. ამასთანავე, იგი დადებით შედეგს მოიტანს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ზურაბ მასურაშვილი
საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი

თანამედროვე საინფორმაციო სამყაროში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარისხიანი ინფორმაცია.
ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმა საშუალებას გვაძლევს კომპანიებისგან განგრძობითად მივიღოთ მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენ კლიენტებს შევთავაზებთ მათ საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტებს, დაჩქარდება კომპანიების დაფინანსების პროცესი, რაც გავლენას მოახდენს საბანკო პროდუქტების ფასების კლებაზე.

ალექსანდრე გომიაშვილი
გენერალური დირექტორი, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო

მივესალმებით წამოწყებულ რეფორმას, რომლის მიზანია ქვეყანაში გამჭვირვალე ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება. ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ეკონომიკური გადაწყვეტილებების ეფექტურად მიღებას და გაზრდის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

ერეკლე პირველი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
კავკასიის ბიზნესის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი

ანგარიშგებისა და აუდიტის მიმდინარე რეფორმა საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმაა. უკვე მეორე წელია კავკასიის უნივერსიტეტი, პროფ. ერეკლე პირველის ხელმძვანელობით, ახდენს საქართველოს კერძო სექტორის საწარმოთა სისტემატიზებული წლიური ფინანსური ინფორმაციის სამსახურისგან გამოთხოვას. აღნიშნული ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანია სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის კუთხით.

კატარინა ბიორლინ ჰანსენი
რეგიონალური დირექტორი კავკასიაში
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი უმნიშვნელოვანესია ბაზრის ყველა მოთამაშისათვის, რადგან ის საერთაშორისოდ აღიარებული ბუღალტრული სტანდარტების უნივერსალური წესებია, რაც ნიშნავს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ეფექტიანობას.
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ხელს უწყობს გამჭვირვალობას, რადგან ამარტივებს ფინანსური ინფორმაციის შედარებას საერთაშორისო დონეზე და განსაზღვრავს მის ხარისხს, რაც აუცილებელია ინვესტორებისათვის და ბაზრის მოთამაშეებისათვის ინფორმირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ხელს უწყობს ეკონომიკურ ეფექტიანობას, რადგან ეხმარება ინვესტორებს სწრაფად და მარტივად განსაზღვრონ შესაძლებლობები და რისკები კაპიტალდაბანდებისას.
ბიზნესისათვის, ერთიანი ბუღალტრული „ენა'' ამცირებს კაპიტალის, ასევე საერთაშორისო ანგარიშგების ხარჯებს, აადვილებს ინფორმაციის შედარებას. ამასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი ხელს უწყობს ინფორმაციის სრულყოფილ გაზიარებას კაპიტალის გამცემ პირებსა და იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ეს კაპიტალი ჩააბარეს. ეს მმართველი რგოლის ანგარიშვალდებულების ხარისხს ზრდის.

გიორგი პაპავა
კერძო სექტორის განვითარების კვლევითი ცენტრის წამყვანი ეკონომისტი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

„საქართველოს მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეფორმა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის. კერძო კომპანიების დონეზე ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს მკვლევარებს შეისწავლონ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა კომპანიის ფორმირებისა და ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები, კონკურენციის დონე ბაზარზე, შრომის ბაზრის დინამიკა, პროდუქტიულობის ზრდის წყაროები და სხვა.

2019 წლის მნიშვნელოვანი პროექტები

საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებით და ქვეყანაში არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. თითოეული პროექტი პროფესიის გაძლიერებას და ხარისხის ამაღლებას ემსახურება.

- ჩვენ მიერ ინიცირებული ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის – „მმართველობა განვითარებისათვის" (G4G) - ფარგლებში, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილი **მსს ფასს სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობის ერთწლიანი საგრანტო პროექტის** მსვლელობისას, 2019 წელს 88 ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტრენერის მიერ გადამზადდა **1,200**-მდე პირი. ტრენინგები მიმდინარეობდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ზუგდიდსა და სხვა ქალაქებში. პროექტის ფარგლებში დატრენინგებული მე-3 კატეგორიების პირებიდან **86%**-მა უხარვეზო ანგარიშგება გადმოგზავნა სამსახურში და ჩვენ დახარვეზების გარეშე გავასაჯაროვეთ მათი ანგარიშგებები.

მადლობას ვუხდით დონორ ორგანიზაციებს გაწეული წვლილისთვის.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ქართულ ენაზე ითარგმნა მსს ფასს სტანდარტის 35 სასწავლო მოდული, რომელიც ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული დაინტერესებულ პირთათვის.

ტრენერთა ტრენინგი მსს ფასს სტანდარტში

- მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის **ინტერპრეტაციების სამუშაო ჯგუფი** შეიქმნა, რომლის მიზანია სტანდარტთან დაკავშირებული მეთოდური მითითებების შემუშავება, საკვანძო საკითხების ინტერპრეტაცია და სარეკომენდაციო წინადადებების მომზადება. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პროფესიული, აკადემიური, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საგადასახადო და ანგარიშგებების მოთხოვნების მაქსიმალური დაახლოება მე-4 კატეგორიის საწარმოების მოთხოვნებთან, კომიტეტის შემადგენლობაში ასევე შედის შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელიც.

- ასევე, დაიწყო ევროკავშირის დაფინანსებით წამოწყებული ახალი დაძმობილების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მიიღწევა სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერებისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან სრულფასოვანი დაახლოების გზით. პროექტი ასევე დაეხმარება საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში. თვინინინგის პროექტის ფარგლებში, ბერძენ კოლეგებთან ერთად საერთაშორისო გამოცდილება გავიზიარეთ მეთოდოლოგიის დამუშავებასა და ანგარიშგებების შემოწმების პროცესის დახვეწის მიმართულებით.

sarastwinning.ge

მადლობას ვუხდით ბერძენ კოლეგებს თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისათვის.



საინფორმაციო რესურსები

ანგარიშგების პორტალი

REPORTAL.GE

ანგარიშგების სისტემის ავტომატიზაცია 2018 წლამდე შემოსავლების სამსახურის სისტემის მეშვეობით მიმდინარეობდა, ხოლო შემდგომ, პროცესის გასამარტივებლად, საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად, რეპორტალი შეიქმნა. ანგარიშგების პორტალი არის პირველი საჯარო საინფორმაციო სივრცე, რომელიც ხელს უწყობს ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდას, კაპიტალის ბაზრების განვითარებას და საბოლოო ჯამში - ეკონომიკურ ზრდას. პორტალი საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებს მოიცავს. მასზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

წლის განმავლობაში აქტიურად ვითანამშრომლეთ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ანგარიშგების პორტალზე წარდგენილი ინფორმაციის ხარისხის უზრუნველსაყოფად. რეპორტალი არის ცენტრალური სივრცე - აქ განთავსებული ანგარიშგება საბოლოო დოკუმენტს წარმოადგენს, რომლის ცვლილებაც სუბიექტის მხრიდან თვითნებურად ვერ ხდება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან, ანგარიშგების წარდგენის სისტემის შემუშავებას, განახლებას და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური.

მადლობას ვუხდით საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისათვის.

დავით მიქაძე
ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენელი

ანგარიშგების წარდგენის და შემოწმების პროცესის გაციფრულება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მინიმალურ დროში მიიღოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია.

საქართველოს ეროვნულ ბანკთან „ერთი ფანჯრის პრინციპი" დავნერგეთ

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეფორმის ფარგლებში, „ერთი ფანჯრის პრინციპი" შევიმუშავეთ, რის შედეგადაც საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის ანგარიშგების წარდგენის, გასაჯაროების და ადმინისტრირების პროცესი გამარტივდება. რეფორმის ფარგლებში, სუბიექტების მიერ ეროვნულ ბანკთან პერიოდული ანგარიშგებების წარდგენა ანგარიშგების პორტალის მეშვეობით მოხდება.

ონლაინ ლექსიკონი

ჩვენი ინიციატივით, ფინანსური ანგარიშგებისა (IFRS) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული/ქართულ-ინგლისური ონლაინ ლექსიკონი შეიქმნა, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. ლექსიკონი 3000-მდე ტერმინის თარგმანს მოიცავს და მისი მეშვეობით, ტერმინების ქართული შესატყვისის გარდა, მომხმარებელს შეუძლია სტანდარტებიდან მოყვანილი განმარტებები და ამონარიდები იხილოს.

ონლაინ ლექსიკონში არსებულ ტერმინებს პროფესიონალებით დაკომპლექტებული სარედაქციო კომიტეტი არედაქტირებს. ლექსიკონი აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციას, დახვეწას და გამდიდრებას ისახავს მიზნად. სწორედ ამიტომ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ვებგვერდის მეშვეობით, ტერმინების თარგმანის შეფასება და ახალი ვერსიების შემოთავაზება შეუძლია.



სამომავლო გეგმები

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

აუდიტი

აუდიტი კომპანიის შესახებ ფინანსური ინფორმაციის საიმედოობას მნიშვნელოვნად ზრდის. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება აუცილებელ ინფორმაციას აწვდის როგორც თავად ორგანიზაციას, ასევე ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს - ასეთ ხარისხიან ინფორმაციაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება და ბიზნესის განვითარების სამომავლო გეგმების დასახვა. სწორედ ამიტომ, ის ხარჯები, რომელიც აუდიტის ჩატარებასთანაა დაკავშირებული, პოტენციური სარგებლიდან გამომდინარე, საწარმოებმა განვითარებაში ჩადებულ ინვესტიციად უნდა განიხილონ.

აუდიტის სარგებელი საწარმოთა მფლობელებისთვის

აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით, საწარმოს დამფუძნებელი საკუთარი კომპანიის სამართლიანი სურათის დანახვას შეძლებს - მან შესაძლოა მიიღოს ინფორმაცია იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი დარჩებოდა. საიმედო ინფორმაცია კომპანიაში აქტივების, შემოსავლებისა და ვალდებულებების, ძლიერი მხარეების და ხარვეზების შესახებ მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სამომავლოდ უფრო ეფექტური გეგმების დასახვისა და სწორი სტრატეგიის შესამუშავებლად.

აუდიტის მნიშვნელობა ინვესტორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის

თანამედროვე სამყაროში, ბაზრის მუდმივი ზრდისა და ეკონომიკის ცვალებადობის ფონზე, ინვესტორებისთვის უფრო და უფრო რთული ხდება გადაწყვეტილებების მიღება. მათთვის უმთავრეს ამოცანად იქცა სანდო ინფორმაციის მოპოვება საწარმოთა საქმიანობასთან დაკავშირებით. ინფორმაციის სანდოობის ზრდისათვის შექმნილი საერთაშორისო სტანდარტები და რეგულაციები, რომლებსაც მრავალი განვითარებული ქვეყანა იზიარებს, სწორედ მაღალი ხარისხის აუდიტის მეშვეობით, ინვესტორებს ამ სანდო ინფორმაციით უზრუნველყოფს და გამჭვირვალე გარემოს უქმნის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. დღეისთვის არსებული კვლევების მიხედვით, ინვესტორთა დიდი ნაწილი სწორედ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს.

ჩვენი სამსახურის მთავარ მიზანს ქვეყანაში ბიზნესისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა წარმოადგენს. მივიჩნევთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული, გამჭვირვალე და სანდო გარემო - რომლის ერთ-ერთი საფუძველი აუდიტის ხარისხის ამაღლება და სფეროს გაძლიერებაა - საწარმოებს ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის სწრაფ განვითარებაში დაეხმარება. სწორედ ეს არის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი ამოცანა - ვქმნით ერთიან სისტემას, რომელიც აუდიტის ხარისხს აამაღლებს და, შესაბამისად, პროფესიის რეპუტაციასა და სანდოობას გაზრდის ქვეყანაში.

მაღალი ხარისხის აუდიტი და სანდოობა

იმისათვის, რომ ქვეყანაში აუდიტის ხარისხი ამაღლდეს და სანდოობა გაიზარდოს, დეპარტამენტი შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი
- პროფესიული სტანდარტების შემოღება და დანერგვა
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი
- პროფესიული განათლება და განვითარება

აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი

ჩვენ მიერ შექმნილი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი სანდო საინფორმაციო რესურსია. მასში წარმოდგენილია ინფორმაცია ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირის შესახებ, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული მომსახურების განხორციელება შეუძლიათ.
რეესტრის მეშვეობით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების მიღების მიზნით, დაინტერესებული ინვესტორები, საწარმოების ხელმძღვანელები, საწარმოების აუდიტის კომიტეტები და სხვა დაინტერესებული მხარეები აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას იღებენ.

აუდიტორების და აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაცია

აუდიტორული ფირმები



აუდიტორები



აუდიტორული მომსახურების ბაზრის დაზღვევა



აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ბაზრის მოცულობა



● აუდიტორული მომსახურებიდან
● სრული შემოსავლები

მონაცემები მოცემულია ათას ლარებში

აუდიტორული და პროფესიული მომსახურებების ბაზარზე დასაქმებული პერსონალი



● აუდიტორული მომსახურების პერსონალი
● პერსონალი სრულად

რეგულირების დადებითი შედეგები

როგორც თქვენთვის ცნობილია, აღიცხვა-ანაგრიშგების და აუდიტის სფეროს ზედამხედველობა 2016 წლიდან დავიწყეთ. წინა გვერდებზე მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, რომ აუდიტორული და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, ისევე როგორც აუდიტორულ და სხვა პროფესიულ მომსახურებაში ჩართული პირების რაოდენობა, ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდებოდა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზედამხედველობა დადებითად აისახა აღნიშნულ სფეროზე.
თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ აუდიტორული ბაზრის ზრდის მაჩვენებლებს ზედამხედველობის დაწყებიდან დღემდე.



შემოსავლების ზრდა:

აუდიტორული მომსახურება
პროფესიული მომსახურება
მთლიანი ზრდა



პერსონალის ზრდა:

აუდიტორულ მომსახურებაში
პროფესიულ მომსახურებაში
მთლიანი ზრდა

პროფესიული სტანდარტების შემოღება და დანერგვაში ხელშეწყობა

საქართველოში განხორციელებული აუდიტორული მომსახურება და მისი შედეგები უფრო აღქმადი და სანდო რომ იყოს საერთაშორისო მასშტაბით, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დამტკიცებულ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებსა და პროფესიული ეთიკის კოდექსს ყოველწლიურად 6 თვის ვადაში ვთარგმნით და ხელმისაწვდომს ვხდით ყველა დაინტერესებული პირისთვის. მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, თარგმნის პროცესში ჩართულები არიან პროფესიის წარმომადგენლები.

საერთაშორისო სტანდარტების შემოღების პროცესი

IFAC International Federation of Accountants

- სტანდარტის დამტკიცება

SARAS.GOV.GE

- თარგმნის ნებართვა
- თარგმნა SDL Trados Studio-ს გამოყენებით

- სამსახურის უფროსის ბრძანება

- ექსპერტიზა (პროფესიის წარმომადგენლები)



- გასაჯაროება

საერთაშორისო სტანდარტები

2019 წელს სამოქმედოდ შემოვიღეთ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსიები, ასევე, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) განახლებული ვერსია.

ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები ჩვენს ვებგვერდზეა განთავსებული და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი.

დამხმარე სახელმძღვანელოები

წლის განმავლობაში, ჩვენი ინიციატივით ქართულ ენაზე ითარგმნა და ვებგვერდზე განთავსდა სახელმძღვანელოები, რომელიც ხელს უწყობს აუდიტორულ ფირმებში ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი პოლიტიკის და პროცედურების დანერგვას, ხოლო აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და ეთიკის კოდექსის სწორად გამოყენებას.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი

აუდიტორული ფირმების/აუდიტორების აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ვახორციელებთ სრულად ან თემატურად. მონიტორინგი შეიძლება დაიწყოს როგორც ჩვენი ინიციატივით, ასევე ინდ. აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის შესაბამისი მომართვის საფუძველზე.

აუდიტორული ფირმების, აუდიტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ, ვებგვერდზე განვათავსეთ ინფორმაცია 2019 წლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დაგეგმილი მიმართულებების შესახებ, სადაც მონიტორინგის სახეები, ვადები, მონიტორინგის დაწყების ინდიკატორები და მონიტორინგის პროცესებია ასახული.

ვახტანგ კეჟერაძე
აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი

„SARAS-ში მივიჩნევთ, რომ შესაფერისი და საიმედო ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია ჩვენი კაპიტალის ბაზრების მთლიანობისათვის. დამოუკიდებელი და მაღალი ხარისხის აუდიტი წარმოადგენს უმთავრეს პირობას ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველსაყოფად. SARAS-ი ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების გზით გადამწყვეტ როლს თამაშობს აუდიტის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაში”.

მონიტორინგის ფარგლები

სტანდარტების და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები



ხკსს 1 სტანდარტის დარღვევის ფაქტები



აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის ფაქტები



გამოვლენილი ფაქტების მნიშვნელოვნება და სისტემურობა



მონიტორინგის შედეგები



- V კატეგორია
- III კატეგორია
- IV კატეგორია
- შეწყვეტა**
- I კატეგორია
- თემატური მონიტორინგი
- რეესტრიდან ამოღება*

* მოხდა მონიტორინგის ფარგლების შეზღუდვა და მონიტორინგის შედეგად ფირმა რეესტრიდან იქნა ამოღებული

**იმ ფირმების მონიტორინგი შეწყდა, რომელთაც არ ჰქონდათ შესრულებული ორი აუდიტორული მომსახურების გარიგება

საერთაშორისო თანამშრომლობა

ხარისხის კონტროლის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის და გამოცდილების გასაზიარებლად აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნის ზედამხედველ ორგანოსთან.

ჩვენ და აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმი

აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმი (IFIAR) მსოფლიოს ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი 55 იურისდიქციის აუდიტის დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აერთიანებს. მისი მისია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაა, ინვესტორების ჩათვლით, რასაც მსოფლიო მასშტაბით აუდიტის ზედამხედველობის გაუმჯობესებით უზრუნველყოფს.



IFIAR-ის რიგით მეცამეტე აუდიტის ინსპექტირების სემინარი

ჩვენი თანამშრომლები პარიზში IFIAR-ის რიგით მეცამეტე ინსპექციის სემინარს დაესწრნენ.
ისინი აუდიტის საკვანძო საკითხებთან დაკავშირებულ სიახლეებს გაეცნენ - გამომსვლელებმა მათ ახალი მიდგომები და გამოცდილება, აუდიტის სფეროში თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების თავისებურებები და მონაცემთა ანალიზის მნიშვნელობა გაუზიარეს.

IFIAR-ის ყოველწლიური პლენარული სხდომა

IFIAR-ის ყოველწლიურ პლენარულ სხდომას ჩვენი წარმომადგენელიც დაესწრო. ფორუმი შემდეგი საკითხების მიმოხილვას დაეთმო: აუდიტის ხარისხის ინდიკატორები, კიბერ უსაფრთხოება, აუდიტის კომიტეტებთან ურთიერთობა, ერთობლივი ინსპექტირება, რეგულატორის დამოუკიდებლობა, ხარისხის მართვის სისტემის შეფასების გამოკითხვის შედეგები, აუდიტის სტანდარტების დადგენაში დამოუკიდებელი რეგულატორების ჩართულობა და სხვ.

IFIAR-ის აღსრულების სამუშაო ჯგუფის მუდმივი წევრი გავხდით

IFIAR-ის მოკვლევისა და აღსრულების სფეროში თანამშრომლობას სპეციალურად შექმნილი აღსრულების სამუშაო ჯგუფი უძღვება. სამუშაო ჯგუფი აერთიანებს IFIAR-ის წევრებს შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, შვეიცარია, ავსტრალია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, სამხრეთ აფრიკა, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის ტაიბეი. მათ რიგს საქართველოც შეუერთდა და, ამიერიდან, ის აღსრულების სამუშაო ჯგუფის მუდმივი წევრია.



საქართველომ IFIAR-ის კვლევაში მიიღო მონაწილეობა

IFIAR-ის ანგარიში IFIAR-ის წევრი ქვეყნების აუდიტის ზედამხედველი ორგანოების საზედამხედველო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას შეეხება. აღნიშნულ კვლევაში 2019 წელს საქართველომაც მიიღო მონაწილეობა.



PCAOB - „აუდიტის რეგულირების მომავლისთვის რეპოზიციონირება"

PCAOB
Public Company Accounting Oversight Board

ჩვენმა წარმომადგენელმა საჯარო კომპანიების ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭოს (PCAOB) აუდიტის რეგულაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში - „აუდიტის რეგულირების მომავლისთვის რეპოზიციონირება" - მიიღო მონაწილეობა. სემინარი აუდიტის სფეროს სამომავლო პერსპექტივებისა და გამოწვევების, ხარისხის მართვის და მისი შემოწმების ახალი ტექნოლოგიების, ეროვნული რეგულაციების გადაკვეთების და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმოხილვას ისახავდა მიზნად.

„თვინინგის" პროექტი

ENHANCING ACCOUNTING AND AUDIT QUALITY IN GEORGIA

ჩვენი თანამშრომლები, „თვინინგის" პროექტის ფარგლებში, საბერძნეთს სასწავლო ვიზიტით ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ისინი ევროპის აუდიტის ზედამხედველ ორგანოთა კომიტეტის (CEAOB) მიერ ორგანიზებულ სემინარებს დაესწრნენ და საბერძნეთის ბუღალტრული და აუდიტის სტანდარტების ზედამხედველობის საბჭოს (HAASOB) წარმომადგენლებს პრაქტიკის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვდნენ. გარდა ამისა, ორმხრივი შეხვედრები გაიმართა ევროპელ კოლეგებთან და საბერძნეთის მომიჯნავე სფეროების მარეგულირებელ ორგანოებთან.

პროფესიული განათლება და განვითარება

საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლება

საქართველოში აუდიტორული მომსახურების მაღალი ხარისხის მიღწევა ჩვენი სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. აუდიტის მაღალი ხარისხის უმთავრესი განმაპირობებელი აუდიტორთა სათანადო პროფესიული კომპეტენციაა, რაც თავის მხრივ ხარისხიან განათლებაზეა დამოკიდებული. სათანადო კომპეტენციის მიღწევას პროფესიული განათლების ორი კომპონენტი უზრუნველყოფს: საწყისი პროფესიული განათლება და განგრძობითი პროფესიული განათლება. ამ მიზნების მისაღწევად პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტები დავადგინეთ, რომლებიც ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES) შეესაბამება.

დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ვაღიარეთ ორი პროფესიული ორგანიზაციის ორი სასერტიფიკაციო პროგრამა და ერთი საგამოცდო პროცესი. სტანდარტებთან შესაბამისობის ზედამხედველობისათვის პერიოდულად ვახორციელებთ პროფესიული სერტიფიცირების თემატურ მონიტორინგს, რათა სასწავლო პროგრამის და საგამოცდო პროცესის მაღალი ხარისხი შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს.



იმისათვის, რომ აუდიტორმა შეინარჩუნოს აუდიტორული საქმიანობის უფლება, მან მუდმივად უნდა განაახლოს ცოდნა და ამგვარად შეინარჩუნოს კვალიფიკაცია. ამ მიზნის მისაღწევად, განგრძობითი განათლების სტანდარტი მოითხოვს, რომ აუდიტორი ყოველწლიურად დაესწროს განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სასწავლო კურსს, რომელიც პროფესიულ სტანდარტებში და სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მზადდება.

ხარისხის შესანარჩუნებლად, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ყოველწლიურად ვაღიარებთ პროფესიული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ განგრძობითი განათლების პროგრამებს. სტანდარტებთან შესაბამისობის ზედამხედველობისათვის კი პერიოდულად განგრძობითი განათლების პროცესის მონიტორინგს ვახორციელებთ.



ღონისძიებები პროფესიული განათლების მიმართულებით

სემინარი აუდიტორებისათვის – „აუდიტის სტანდარტები და მათ მიღმა“

2019 წლის განმავლობაში ორი ღონისძიება გავმართეთ საქართველოში აუდიტის საჭიროებისა და პერსპექტივების განსახილველად. სემინარები საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციასა და საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოებასთან თანამშრომლობით გაიმართა.

ღონისძიება განათლების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევების შესახებ

ჩვენმა თანამშრომლებმა მსოფლიო ბანკისა და ეროვნული რეფორმების ფონდის მიერ გამართულ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციის მთავარი თემები იყო: აკადემიური და პროფესიული განათლების მთავარი გამოწვევები, მსოფლიოში არსებული მდგომარეობის და ტენდენციების მიმოხილვა, საქართველოში რეფორმის მიმდინარეობა, სფეროში არსებული ინოვაციები და სხვა აქტუალური საკითხები.

მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

2019 წელს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმი მიზნად ისახავს ერთობლივი სემინარების, შეხვედრების, სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზებას, პრეზენტაციების ჩატარებას და კონსულტაციების უზრუნველყოფას სტუდენტთა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, პროფესიული ზრდის ხელშეწყობისა და პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის განვითარებისთვის.

პროფესიული ორგანიზაციები სასწავლო ვიზიტით საბერძნეთს ეწვივნენ

ENHANCING ACCOUNTING AND AUDIT QUALITY IN GEORGIA

„თვინინგის” პროექტის ფარგლებში, პროფესიული ორგანიზაციები, ბერძენ კოლეგებთან გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად, სასწავლო ვიზიტით საბერძნეთს ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში,

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისა (ბაფ) და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის (აბფმფ) წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს საბერძნეთის ფინანსური აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების ზედამხედველობის საბჭოს, SOEL-ის (სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი) და მისი სასწავლო ცენტრის - IESOEL-ის წარმომადგენლებთან და პრაქტიკოსებთან. მათ იმ გამოწვევებზე იმსჯელეს, რომლებიც დღეს ქართული პროფესიული ორგანიზაციების წინაშე არსებობს.

გამოცდილების გაზიარება

მსოფლიო ბანკის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესების (STAREP) რეგიონალური პროგრამის ფარგლებში, ჩვენი თანამშრომელი, აუდიტორული რეესტრების საკითხებზე საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით, უკრაინის აუდიტორთა პალატაში მიიწვიეს. მან უკრაინულ მხარეს სამსახურის აუდიტორების რეესტრების, მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მოკვლევის, სამსახურის ვებ-გვერდის და რეგისტრაციის პროცესის განვითარების პირველი ნაბიჯების შესახებ გამოცდილება გაუზიარა.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეესტრის წარმოების მიმართულებით საქართველოს გამოცდილება ერთ-ერთი მოწინავეა რეგიონში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

გამოცდილების გაზიარების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გავაფორმეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის აუდიტორთა პალატასა და უკრაინის აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობის ორგანოსთან.

მემორანდუმების შესაბამისად, მხარეებთან შემდეგი მიმართულებებით ვითანამშრომლებთ: აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმების გაუმჯობესება; აუდიტის ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიის დახვეწა; ინფორმაციის გაცვლისთვის სათანადო ინსტრუმენტების შემუშავება; ზედამხედველობაში ჩართული სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სხვ.

სამომავლო გეგმები

2020 წლისთვის დაგეგმილია 30 ხკსმ-ს ჩატარება.

ამასთან დაკავშირებით აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმებისთვის გამოვაქვეყნეთ დოკუმენტი: **„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მიმართულებები 2020 წლისთვის”**.

დონორები

საქართველოში მიმდინარე რეფორმას დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს. ჩვენს საქმიანობას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია ადევნებს თვალს და აქტიურად ერთვება სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის განხოციელებაში. ჩვენი დონორები არიან:

ADB

აზიის განვითარების ბანკი (ADB) მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან ქვეყნის განვითარებისა და საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. 2018 წლიდან საქართველო ჩართული იყო ADB-ის რეგიონალური ტექნიკური დახმარების (RETA) პროგრამაში „ფინანსური მართვის გაძლიერება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში“. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შემოღება. ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAEW) წარმოდგენილი იყო კონსულტანტის რანგში საქართველოში კერძო სექტორის აუდიტორების კომპეტენციის ამაღლებისა და SARAS-ის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით. RETA-ს პროგრამის შედეგები მოიცავს შემდეგს:

- ☑ კარგი პრაქტიკის ადაპტირებული სახელმძღვანელოები და სამოქმედო პროცედურები SARAS-ისთვის;
- ☑ ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისოდ აღიარებული სამოქმედო პროცედურები აუდიტის მონიტორინგის გუნდისათვის;
- ☑ აუდიტის პრაქტიკის სახელმძღვანელო და შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივები მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული ფირმებისთვის.

ADB იმედოვნებს, რომ საქართველოს ჩართულობას RETA-ს პროგრამაში გრძელვადიანი გავლენა ექნება საქართველოში მმართველობისა და ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიმართულებით.

თანამშრომლობის პროექტი “თვინინგი”

2018 წლის ნოემბრიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით, თვინინგის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი - „ფინანსური აღრიცხვის და აუდიტის ხარისხის ამაღლება საქართველოში“.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს და საბერძნეთის საზედამხედველო ორგანოებს შორის შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის განვითარებას, რათა ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდეს საქართველოში ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მოთხოვნების განმსაზღვრელი კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოყვანა, ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულების შესაბამისად.

ამ მიზნით, ჩვენ, პროექტის პარტნიორი საჯარო უწყების, საბერძნეთის ფინანსური აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების ზედამხედველობის საბჭოს (HAASOB) დახმარებით, ხარვეზების გამოსავლენად, საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებათა ანალიზი ჩავატარეთ. გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ბერძენ სპეციალისტებთან ერთად შევადგინეთ საკანონმდებლო სია, რომელიც ცვლილებების შეტანას საჭიროებს და საკანონმდებლო ცვლილებების ერთობლივად მომზადება დავიწყეთ.

ბერძენი კოლეგები ჩვენს სამსახურს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელების მიმართულებითაც ეხმარებიან. ამ მხრივ, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს აუდიტის ხარისხის კონტროლის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება, რისთვისაც, პროექტის ფარგლებში, პარტნიორების მიერ აუდიტორული ფირმების არაერთი ინსპექტირება განხორციელდა.

პროექტი ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მიმდინარე რეფორმას დარგობრივი მასალის, მათ შორის, ანგარიშგების და აუდიტის სფეროში დასაქმებულთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებების ქართულ ენაზე თარგმნითაც უწყობს ხელს.

ბერძენი პარტნიორების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს და რეკომენდაციებს სათანადოდ განვიხილავთ, ჩვენი თანამშრომლები კი მუდმივად მზად არიან კომპეტენციის ამაღლებისთვის გამიზნულ ღონისძიებებში ჩაერთონ. პროექტის ფარგლებში, აგრეთვე, რეგულარულად მიმდინარეობს იდეების, ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების ორმხრივი გაცვლა, აქვთ რა ბერძენ ექსპერტებსაც შესაძლებლობა საფუძვლიანად გაეცნონ ჩვენს სამსახურში დანერგილ კარგ პრაქტიკას.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს www.sarastwinning.ge.

ჩვენი რესურსები





საზოგადოებასთან ურთიერთობა

დისტანციური მომსახურება მიმდინარეობდა ცხელი ხაზისა და მეილების საშუალებით.

SARAS.GOV.GE -სა REPORTAL.GE -ზე განთავსდა ყველა არსებული ცვლილება და სიახლე.

2019 წლიდან დაიწყო სოციალური ქსელების აქტიური გამოყენება:

ჩაიწერა სასწავლო-საინფორმაციო სახის ვიდეოინსტრუქციები.





საბჭო

საბჭო სამსახურთან არსებული ორგანოა, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვას, ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებულ საკითხების განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს.

თავის საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი ევროკავშირის დირექტივებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საბჭოს დებულებით.

საბჭოს შემადგენლობა:

ნიკოლოზ გაგუა
საბჭოს თავმჯდომარე

ეკატერინე მიქაბაძე
საბჭოს წევრი

ლევან საბაური
საბჭოს წევრი

პაპუნა ლეშავა
საბჭოს წევრი

შოთა კომლაძე
საბჭოს წევრი

ირაკლი თუთარაშვილი
საბჭოს წევრი

გიორგი ვასაძე
საბჭოს წევრი

სალომე სხირტლაძე
საბჭოს მოწვეული პირი

ანდრია მანელაშვილი
საბჭოს მოწვეული პირი

დავების განხილვა

სულ შემოვიდა 57 საჩივარი



განხილულია 56 საჩივარი

44 არსებითი განხილვა და გადაწყვეტილება

12 განუხილველი საჩივარი
(საჩივრის წარდგენის შემდეგ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის მხრიდან)

- აუდიტის მიმართულებით
- ანგარიშგების მიმართულებით

საჩივრების სტატისტიკა

იური დოლიძე
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა
და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა

საქართველოში უპრეცედენტო მასშტაბის, ევროპულ ოჯახთან დაახლოების რეფორმა მიმდინარეობს, რომელიც, სათანადო ყურადღების და ეფექტური გამოყენების პირობებში, საქართველოს ეკონომიკის ნახტომისებრი განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება გადაიქცეს. საუბარია ბიზნესის გამჭვირვალობის რეფორმაზე, რომლის განხორციელებასაც 2016 წლიდან, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, ჩვენი სამსახური უზრუნველყოფს.

ბოლო წლების მონაცემები, რომელიც მოცემულ წლიურ ანგარიშში ავსახეთ, ცხადად გვიჩვენებს სფეროში სხვადასხვა მიმართულებით მიღწეულ პროგრესს. იხვეწება როგორც ზედამხედველობის მექანიზმი, ასევე საქართველოში მოქმედი კომპანიების ანგარიშგება - სამსახურში ასახული საინფორმაციო რესურსები უფრო და უფრო მაღალი ხარისხისაა. გამჭვირვალე გარემოს შექმნით, რისკენაც სამსახური მიისწრაფის, საქართველო ბიზნესის წარმოებისთვის გაცილებით სანდო და მიმზიდველ ქვეყანად იქცევა. ბუღალტრის პროფესია კი თანდათან უფრო ძლიერდება და დიდ ნდობას და მნიშვნელობას იძენს საზოგადოებაში.

საქართველოს რეფორმის წარმატება არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის, არამედ გლობალური მასშტაბით არის დანახული და დაფასებული საერთაშორისო დონორების მიერ. დონორების მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტები რეფორმის ფართო სპექტრს ფარავს და განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს.

ერთი მიზნისთვის

რეფორმას და სამსახურს მრავალი დაინტერესებული მხარე გამოუჩნდა, რომლებიც ეფექტიანად იყენებენ SARAS-ის ხელთ არსებულ ინფორმაციას. მათ შორის არიან: საინვესტიციო ინსტიტუტები, კაპიტალის ბაზრის რეგულატორი, ანალიტიკური სამსახურები, საკრედიტო-სარეიტინგო სააგენტოები, საბანკო ინსტიტუტები, სამეცნიერო წრეები, საკონსულტაციო კომპანიები, სახელმწიფო ორგანოები, ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები და სხვები. საბოლოო ჯამში, სწორედ მათი საქმიანობა უნდა აისახოს დადებითად ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ, მისი განვითარებისთვის ისეთ აუცილებელ, მიმზიდველი გარემოს შემქმნელ ფაქტორებზე, როგორიცაა:

- კაპიტალის ბაზრის განვითარება
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის
- კრედიტორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დაცვა
- სახელმწიფო ადმინისტრირების მექანიზმების გამარტივება

ეს ყოველივე, თითოეული დაინტერესებული და ჩართული მხარის ინტერესისა და პასუხისმგებლობის საერთო საგანია. მთავარი მიზნის მიღწევა, რომელიც ყველა ამ მხარეს აერთიანებს - ქვეყნის ეკონომიკის განვითარება - მხოლოდ ერთიანი მუშაობითა და თანამშრომლობით გახდება შესაძლებელი. SARAS-ი მზადაა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს რეფორმის საბოლოო მიზნების შესრულებაზე.

გამოწვევები

SARAS-ის არსებობის თითქმის ოთხწლიანმა ისტორიამ, აგრეთვე, ევროკანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოების მიზნით ჩატარებულმა დიაგნოსტიკამ, რამოდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა წარმოაჩინა:

- SARAS-ის თვისობრივი რეორგანიზაცია - სამსახურის სტრუქტურის გასაძლიერებლად და რეფორმის განხორციელებისთვის საჭირო მოქნილობის უზრუნველსაყოფად.

- არსებობს თუ არა ერთიანი ხედვა რეფორმასთან დაკავშირებით? რამდენად ინტეგრირებულია ეს რეფორმა სხვა მნიშვნელოვან, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ რეფორმებთან?

- რა ღონისძიებებია გასატარებელი, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივების დონეზე, რომ რეფორმის შედეგები უფრო თვალსაჩინო და ეფექტური გახდეს?

- როგორ შეიძლება წარიმართოს დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან პროცესზე დაკვირვება/მეთვალყურეობა?

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, აქტუალური ხდება დაინტერესებულ მხარეთა დიალოგი, საერთაშორისო ინსტიტუტების და ექსპერტების მონაწილეობით, იმისთვის, რომ რეფორმის ტემპი არ შეჩერდეს და განვითარების ვექტორი არ შეიცვალოს.

„რეფორმა ერთ გვერდზე“

სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო საზედამხედველო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში მიმდინარე რეფორმას ერთგვარი სტრუქტურა და მიმართულება ჩამოუყალიბდა. რეფორმის მთავარი კომპონენტების, შინაარსისა და სარგებლის ერთიანი აღქმისთვის, შემდეგ გვერდზე გთავაზობთ ინფოგრამას „რეფორმა ერთ გვერდზე“.

ფონდის ეთი ავენტდე

მომზადება » აუდიტი » გასაჯაროება » ანალიზი » სარგებელი

სუბიექტები	მარეგულირებელი ჩარჩო	აუდიტორები	REPORTAL.GE
სდპ	ფასს	სავალდებულო	ფინანსური ანგარიშგება
I	ფასს	სავალდებულო	მმართველობის ანგარიშგება
II	მსს ფასს	სავალდებულო	ელექტრონული ფორმები
III	მსს ფასს	ნებაყოფლობითი	
IV	გამარტივებული		პროფილი

სანდოობის უზრუნველყოფა

სერტიფიკაცია

რეგისტრაცია

ხარისხის მონიტორინგი

განგრძობითი განათლება

მარეგულირებელი ჩარჩო

აუდიტის სტანდარტები
ეთიკის ნორმები
განათლების სტანდარტები

ანალიზი

საკრედიტო სარეიტინგო ბიურო
საკრედიტო რეიტინგი 01

ანალიტიკოსები, ბროკერები
საინვესტიციო ანალიზი 02

მკვლევარები, კონსულტანტები
სექტორული ანალიზი და პროგნოზირება 03

სახელმწიფო უწყებები
რისკების მართვა შესაბამისობის სტიმულირება 04

სარგებელი

- 01 გაზრდილი წვდომა ფინანსებზე
- 01 02 03 კაპიტალის ბაზრის განვითარება
- 01 02 03 04 კონკურენციის გაჯანსაღება
- 01 04 კრედიტორთა ინტერესების დაცვა
- 01 02 03 04 გამარტივებული ადმინისტრირება

- ბანკები
- ინვესტორები
- ფონდები
- კრედიტორები
- კონტრაქტორები

ინვესტიციები ▪ სესხები ▪ კონსიგნაციები ▪ გრძელვადიანი კონტრაქტები

ცვლილება განვითარებისთვის



REPORTAL.GE

SARAS.GOV.GE

+(995 32) 2 262 226

ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის N1

დიზაინერი | ოთარი რეხვიაშვილი